ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაკურიანი-74

ЗИМНЯЯ СПАРТАКИАДА НАРОДОВ СССР · 1974





# სპარტაკიადა საზეიმოდ გაიხსნა

ბაკურიანი, 9 მარტი. დადგა საბჭოთა კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის გახსნის დღე. „თეთრი მარგალიტი", მისი ქუჩები, ბაზები, ტრასები კიდევ უფრო მოირთო და გალამაზდა ალმებით, ლოზუნგებით, ტრანსპარანტებით, პლაკატებით.

დღის 12 საათია. საქართველოს სპორტკომიტეტის ბაზა-პანსიონატის წინ სპარტაკიადის მონაწილე კოლექტივები ეწყობიან. კოლონის წინ მოაქვთ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო დროშა, რომელსაც მოჰყვებიან ორკესტრი და მედროშეთა ჯგუფი. 70- და 90-მეტრიანი ტრამპლინების კონტრფერდობზე, რომელიც ასევე საზეიმოდაა მორთული, გაისმის ფანფარების ხმა. ალლუმის კომანდორს ფ. ნავერიანსა და მოწყობის ხელმძღვანელს ვ. შალუტაშვილს კოლონა მიჰყავთ კონტრფერდობისკენ. საუკეთესო საბჭოთა სპორტსმენებს მიაქვთ სსრ კავშირის დროშა, რომელიც სპარტაკიადის გახსნის ნიშნად ანძაზე ალიმართება.

კოლონები ტრიბუნის წინ მოეწყვნენ. კომანდორი სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ო. ჩერქეზიას მოახსენებს, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის მონაწილენი სამთო-სათხილამურო სპორტში, ტრამპლინიდან ხტომაში, ორჭიდსა და საციგაო სპორტში სპარტაკიადის გახსნის ალლუმისთვის მზად არიან. ო. ჩერქეზია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს და რესპუბლიკის მთავრობის, სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის სახელით მისასალმებელი სიტყვით მიმართავს სპარტაკიადის მონაწილეებს. შემდეგ იგი მისალმებისთვის სიტყვას აძლევს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ვ. სმირნოვს.

გაისმის განკარგულება, საუკეთესო საბჭოთა სპორტსმენები გ. შიხოვა, ნ. შაშკოვა, გ. ნაპალკოვი, ა. გოროვიტინი, ა. ნოსოვი და ი. ციაგუნხი საბჭოთა კავშირის დროშას ანძაზე ამაგრებენ. გაისმის საბჭოთა კავშირის ჰიმნი. დროშა მაღლა მიიწევს. სპარტაკიადა გახსნილად ცხადდება.

მარადიული ცეცხლის ჩირაღდნით მოედანზე შემორბის საციგაო სპორტში საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი გ. ავალიანი და 90-მეტრიანი ტრამპლინის კიბისკენ მიეშურება. აქ იგი ჩირაღდანს გადასცემს ორჭიდში რესპუბლიკის ჩემპიონს გ. ქუმარიტაშვილს. შემდეგ ესტაფეტას ღებულობს სპორტის ოსტატი, „მფრინავი მოთხილამურე", მ. გავა, რომელსაც ჩირაღდანი ტრამპლინის არეკნის ბაქნამდე აქვს და სპორტის დამსახურებულ ოსტატ ქ. წაქაძეს გადასცემს. წაქაძეს ჩირაღდანი მსაჯთა კოშკურის მანსარდაზე აქვს და მარადიულ ცეცხლს ანთებს.

გაისმის სალუტის ხმები.

• • •

სურათებზე: სპარტაკიადის საზეიმო გახსნის მომენტები. მარცხნივ — სპორტის დამსახურებული ოსტატი ქ. წაქაძე ჩირაღდნით.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

(ჩვენი სპეც. კორ.).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№49 (5079)

1974 წ. 10 მარტი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი ო. გელაშვილი ბაკურიანიდან ტელეფონით გვატყობინებს

სსრკ ხალხთა ზამთრის სპარტაკიადა 1974

## პირველი ჩემპიონი, პირველი გამარჯვებული, პირველი ქულები

ბაკურიანი, 8 მარტი. სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის მონაწილე ქალებს 8 მარტის საერთაშორისო დღე ასპარეზობის ორგანიზატორებმა და მეგობრებმა ჯერ კიდევ გუშინ მიულოცეს, როცა უმეტესობა თავისუფალი იყო. მაგრამ ყველაზე კარგი საჩუქარი მაინც დღეს მიიღეს მოსკოველმა სამთომთხილამურემ, სპორტის ოსტატმა, 29 წლის ნ. მერკულოვამ და ბაშკირეთის ასსრ გუნდის წევრმა, სპორტის ოსტატმა, 17 წლის ტ. პერჩატკინამ (ორივე — „სპარტაკი").





კოხტაგორაზე დღეს გაიმართა ქალთა შეჯიბრება სწრაფდაშვებაში ჩემპიონის დასასახელებლად, სადაც მერკულოვამაც (ქალთა შორის) და პერჩატკინამაც (ქალიშვილებში) პირველი ადგილები დაისაკუთრეს.

შეჯიბრება ჩატარდა იმავე 2100-მეტრიან ტრასაზე, სადაც გუშინ გენერალური რეპეტიცია მოეწყო. დისტანციაზე 10 კარი იდგა.

გუშინ ოქროს მედლის მთავარ პრეტენდენტებად უმეტესობას სანკტ-მორიცის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეები, სპორტის ოსტატები — გ. შიხოვა, ა. ასკაროვა და ტატიანას და ნ. პერჩატკინა მიაჩნდა. მართლაც, შიხოვამ, მაგალითად, გუშინ საუკეთესო დრო (1.09,93) აჩვენა, მაგრამ, როგორც დღევანდელი ასპარეზობის შედეგებმა დაადასტურა, გენერალურ რეპეტიციაზე მიღებული შთაბეჭდილება უშუალოდ მედლებისთვის ბრძოლაში ყოველთვის როდი მართლდება.

თავდაპირველად დაეშვა ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული სამთომთხილამურე ტ. პერჩატკინა, რომელიც გუნდს ჩათვლას ქალიშვილთა შეჯიბრებაში აძლევდა. როცა მან დისტანცია დაამთავრა, წამმზომებმა 1.11,39 აღნიშნეს. ეს საკმაოდ მაღალი შედეგი სხვა ფავორიტებისთვის მკაცრი გაფრთხილება იყო. პერჩატკინამ გუშინდელი მაჩვენებელი თითქმის 4 წამით გააუმჯობესა.

შეჯიბრება დამთავრდა. ლიდერობა ხელთ იგდო მერკულოვამ — 1.10,0. მან ტრასა საათში საშუალოდ 108 კმ სისწრაფით გაიარა, მაგრამ სხვა ფავორიტები ჯერ კიდევ სტარტზე იდგნენ და გამარჯვების ბედი გადაწყვეტილი არ იყო. დანარჩენ მონაწილეთაგან ერთადერთი, ვინც ლიდერს საგრძნობლად მიუახლოვდა, 34 წლის ვეტერანი შიხოვა იყო — 1.10,51.

მერკულოვამ სპარტაკიადის პირველი ოქროს მედალი მოიპოვა.

ჩემპიონი რამდენიმე წუთის შემდეგ ვინახულეთ, ქალთა საერთაშორისო დღე და გამარჯვება მივულოცეთ, მერე კი პატარა ინტერვიუც ვთხოვეთ.

— სამთო-სათხილამურო სპორტში ვარჯიში ლუსნინას ხელმძღვანელობით დავიწყე 1958 წელს, — გვითხრა მერკულოვამ. — 6 წლის შემდეგ ტერსკოლში უკვე ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედლები მოვიგე სპეციალურ და გიგანტურ სლალომში. მას შემდეგ ჩემპიონობა კიდევ ექვსჯერ დავისაკუთრე. ამჟამად მწვრთნელად ვმუშაობ მოსკოვის „სპარტაკში".

— გუშინ გენერალურ რეპეტიციაზე თქვენ მესამე შედეგი გქონდათ, დღეს კი იგი სამ წამზე მეტით გააუმჯობესეთ, როგორ მიაღწიეთ ამას?

— გენერალური რეპეტიციის თვალსაზრისით თეატრი და სპორტი ერთმანეთისგან დიდად განსხვავდება. თეატრში გენერალური რეპეტიციის დროს ყველა მსახიობმა მთელი უნარი უნდა გამოავლინოს, სპორტში კი პირიქით ხდება: როცა მეორე დღეს მედლისთვის ბრძოლას აპირებ, ცოტა ეშმაკობაც უნდა მოიშველიო. წარმატებაში დამეხმარა შეჯიბრების კარგი ორგანიზაციაც და საცხის სწორად შერჩევაც. კმაყოფილი ვარ, რომ ამ გამარჯვებით ჩემს კოლექტივს 37 ქულა მოვუპოვე.

ტატიანა პერჩატკინამ ქალიშვილთა შეჯიბრებაში საერთო მესამე შედეგი აჩვენა და სპარტაკიადის ბრინჯაოს მედალიც დაისაკუთრა, თუმცა თავისი გუნდისთვის ქალთა ასპარეზობის მესამე პრიზიორის ქულები არ მოუტანია. ეს 32 ქულა მიეცა უკრაინელ ს. ლებედევას, რომელსაც ქალთა შორის მესამე შედეგი ჰქონდა.

სწრაფდაშვებაში საქართველოს სპორტსმენებმა სულ 15 ქულა მოაგროვეს: ს. ნასყიდაშვილმა („კოლმეურნე") X ადგილი დაიკავა — 1.14,68, ნ. ფალიანი („სპარტაკი") მეცხრამეტე იყო — 1.17,36. ქალიშვილებში თ. კოზანაშვილი („დინამო") XIV ადგილზე გავიდა — 1.18,69.

### ტექნიკური შედეგები:

ქალები: ნ. მერკულოვა (მოსკოვი, „სპარტაკი") — 1.10,0, გ. შიხოვა (მოსკოვის ოლქი, „სპარტაკი") — 1.10,51, ს. ლებედევა (უკრაინა, „დინამო") — 1.12,05, ა. ასკაროვა (კემეროვოს ოლქი, „ბურევესტნიკი") — 1.12,22, ს. შჩუკინა (პერმი, „დინამო") — 1.12,57, ი. საუკონენი (ლენინგრადის ოლქი, „ლოკომოტივი") — 1.12,84.

ქალიშვილები: ტ. პერჩატკინა (ბაშკირეთის ასსრ, „სპარტაკი") — 1.11,39, ა. ფილიპოვა (მოსკოვი, „სპარტაკი") — 1.13,82, ე. საუკონენი (ლენინგრადის ოლქი, „ლოკომოტივი") — 1.15,32, ი. სოკოლოვა (მოსკოვი, „დინამო") — 1.15,37, ლ. რუმიანცევა (მოსკოვის ოლქი, „დინამო") — 1.16,08, ს. მაზური (კემეროვოს ოლქი, „ტრუდი") — 1.16,18.

გუნდური შედეგები: მოკავშირე რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და ქალაქების გუნდები. მოსკოვი — 81 ქულა, კემეროვოს ოლქი — 52, მოსკოვის ოლქი — 51,5, ბაშკირეთის ასსრ — 47, ლენინგრადის ოლქი — 43, პერმის ოლქი — 38, უკრაინა — 33, საქართველო — 15, სვერდლოვსკის ოლქი — 14,5, მურმანსკის ოლქი — 13, ალტაის მხარე — 10, ყაზახეთი — 9, ლენინგრადი — 7, ბელორუსი — 4. სპორტსაზოგადოებები და უწყებები. I ჯგუფი. „დინამო" — 115,5, „სპარტაკი" — 106, „ბურევესტნიკი" — 58,5. II ჯგუფი — „კოლმეურნე" — 11, „უროჟაი" — 8, „ავანგარდი" — 2.

(დასასრული მე-2 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრკ ხალხთა ზამთრის სპარტაკიადა 1974



დასასრული

## კალენდარში ცვლილება მოხდა

მოციგავეთა შეჯიბრება ხვალ უნდა დაწყებულიყო, მაგრამ, ვინაიდან საგრძნობლად დათბა, ამ სახეობის მსაჯთა კოლეგიამ ასპარეზობა ერთი დღით გადმოსწია.

დღეს მოეწყო თითო დაშვება ერთადგილიანი ციგებით იუნიორებისა და ქალიშვილებისთვის. ხვალ ისინი ორ-ორჯერ დაეშვებიან, ზეგ კი კიდევ თითო ცდით ბრძოლას დაამთავრებენ.

## დაწინაურდნენ ავერინა და კაშჩეი

სვერდლოვსკის სპარტაკიადაში პირველად ციგურებით სწრაფრბენაში მოასპარეზე ქალები და ვაჟები ჩაებნენ. გათამაშდა მრავალჭიდის ორი სახეობა — რბენა 500 და 1000 მეტრზე. ქალთა შორის დაწინაურდა გორკელი ტ. ავერინა, ხოლო ვაჟთა შორის — ლენინგრადელი ვ. კაშჩეი.

იუნიორთა შორის დაწინაურდა 17 წლის მოსკოველი პირველთანრიგოსანი ი. სალტიკოვი, რომელმაც დისტანციის გავლას 40,005 წამი მოანდომა (აქ დრო წამის მეათასედებში იზომება). სალტიკოვი ვ. უუკს (ლატვია, „ვარპა") 1.440 წამს უგებს. საქართველოს გუნდიდან საუკეთესო იყო ბაკურიანელი ვ. ქუმარიტაშვილი, რომელსაც XII ადგილი ხვდა.

ქალიშვილებში ლიდერობა ხელთ იგდეს სპორტის ოსტატებმა ნ. ბოგდანოვამ (ლენინგრადი, „სპარტაკი") — 42,410 და ლ. სუბოტინამ (მოსკოვი) — 42,688.

საქართველოს ქალიშვილთა გუნდი არ ჰყავს.

## ზრუნვა არ დაუკლიათ

„თეთრ მარგალიტს" ამ დღეებში უამრავი სტუმარი ჰყავს. როგორ მოემზადნენ მათს დასახვედრად ბაკურიანის სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტები? ამ შეკითხვაზე პასუხს გვაძლევენ „საქვაჭრობის" დირექტორის მოადგილე ი. არჩვაძე და „საქვაჭრობის" ბორჯომის განყოფილების ხელმძღვანელი ქ. საბაშვილი:

„ბაკურიანის სავაჭრო ობიექტების რემონტი იმ დღიდან დაიწყო, რა დღესაც ზამთრის სპარტაკიადის მასპინძლად ჩვენი ეს „თეთრი მარგალიტი" აირჩიეს. ყველა სასადილო შეკეთდა. სამაცივრო დანადგარები გამოიცვალა, საზოგადოებრივი კვების ობიექტებში თითქმის მთლიანად შეიცვალა ინვენტარი. სასტუმრო „ბაკურიანთან" გაიხსნა თანამედროვე სტილის კეთილმოწყობილი კაფე, დამონტაჟდა ოთხი პავილიონი, საექსპლოატაციოდ გადაეცა საჩაიე და საკონდიტრო ცენტრი.

„საქვაჭრობის" ბორჯომის განყოფილებამ სპარტაკიადისთვის მზადებისა და ასპარეზობის დღეებში სტუმრების კიდევ უფრო უკეთ მომსახურებისთვის საზოგადოებრივი კვების ობიექტებიდან ბაკურიანში სამუშაოდ გამოგზავნა 35 მაღალი კვალიფიკაციის შეფმზარეული და მზარეული.

ჩვენი რესპუბლიკის სათხილამურო სპორტის ცენტრი მომარაგებას საერთოდ ვერ დაემდურება, მაგრამ ახლა ეს საქმე გაცილებით მაღალ დონეზე დგას. ბაკურიანში



უკვე შემოზიდულია 10 ტონა მანდარინი, 25 ტონა ვაშლი, 80 ტონა ფორთოხალი, 20000 ცალი ლიმონი, დიდი რაოდენობით სხვადასხვა ხილის წვენი, ბოსტნეული და სხვ.

საუბარი დიდხანს აღარ გაგრძელებულა. არჩვაძეც და საბაშვილიც სარვამარტო საზრუნავით იყვნენ დაკავებული, ვინაიდან ქალთა საერთაშორისო დღე ყველა ბაზაში საზეიმოდ უნდა აღნიშნულიყო.

ჩვენი მხრივ მათს ნაამბობს დავუმატებთ, რომ 6 მარტიდან ფართოდ გაიშალა ვაჭრობა, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. „საქვაჭრობის" სპეციალურ შტაბს არც მოძრავი სავაჭრო წერტების მოწყობა დავიწყებია.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო კოხტად ნაგებმა, ლამაზად გაფორმებულმა სუვენირებით მოვაჭრე ჯიხურებმა. განსაკუთრებით ბევრი ხალხი ტრიალებს სასტუმროსთან მოწყობილ სუვენირების მაღაზიაში.

## ისინი ყველგან არიან

სპარტაკიადის მონაწილე ყოველ გუნდს თავისი ექიმი და მასაჟისტი ჰყავს. მაგრამ ისინი მხოლოდ თავიანთ კოლექტივებს ემსახურებიან. სპარტაკიადას კი „თავისი" სპეციალისტებიც უნდა ჰყავდეს. ამისთვის საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ დროულად იზრუნა. ბაკურიანში აიგო ახალი საავადმყოფო, სადაც ტრავმატოლოგიური ცენტრიც არის. აქ სპეციალისტები მოავლინა საქართველოს ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა.

სპარტაკიადის მოახლოებისთანავე ბაკურიანში შეიქმნა ოთხი სპეციალური ბრიგადა (ორი ბრიგადა დაკომპლექტებულია ბორჯომის რაიონის სპეციალისტებით, ორი — თბილისელი ექიმებით). გაითვალისწინა რა ბაკურიანის მეტეოროლოგიური პირობები, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ სასწრაფო დახმარების ოთხი ახალი მანქანა გამოგზავნა.

სპარტაკიადის მთავარ ექიმს, ბორჯომის რაიონის მთავარ ექიმს რ. ხუნტუას წუთით არა აქვს მოცლა. იგი ყველგანაა, ყველა ბაზაში, ყველა შეჯიბრებაზე, თან რაიონსაც არ აკლებს ყურადღებას.

სპარტაკიადის სამედიცინო სამსახურს ჯერჯერობით მაინცდამაინც დიდი საქმე არ ჰქონია, მაგრამ ბრიგადები მაინც ფხიზლობენ, მზად არიან დახმარება აღმოუჩინონ ყველას — სპორტსმენებს, მსაჯებს, სპარტაკიადის მომსახურე პერსონალს, მაყურებლებს.

ყველა ბაზაზე შექმნილია ჯანმრთელობის პუნქტები. კარგად მუშაობს სპორტკომიტეტის ბაზა—პანსიონატის პუნქტი, ფიზიოკაბინეტი კომიტეტის მთავარი ექიმის — ნ. ავალიანის ხელმძღვანელობით. ამ კაბინეტში მუშაობს განთქმული მასაჟისტი მ. შევჩენკო, რომელიც ამიერკავკასიის რკინიგზის დისპანსერიდან ჩამოვიდა სპორტსმენთა დასახმარებლად.

სპარტაკიადას, განსაკუთრებით საქართველოს სპორტულ დელეგაციას, კარგად ეხმარება ჩვენი რესპუბლიკის საექიმო ფიზკულტურის დისპანსერი მთავარი ექიმის ქ. არობელიძის მეთაურობით.

## შოფრები მუდამ ფხიზლობენ

სპარტაკიადის მონაწილეთა მომსახურებისთვის მუდამ მზად არიან ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის გაერთიანებული გარაჟის მუშაკები (გარაჟის გამგე გ. შაორშაძე).

შოფრები ყველაზე ადრე იღვიძებენ (მოციგავეთა სტარტები ხომ 7 საათამდე იწყება) და ყველაზე გვიან იძინებენ, როცა საქმე მთლიანად დამთავრდება. ახლა ბაკურიანშია ფიზკულტურის კომიტეტის 22 მანქანა. შოფრები ფხიზლობენ, ძალ-ღონეს არ იშურებენ, რომ საბჭოთა ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოსული სტუმრები უკმაყოფილო არ დარჩნენ.

განსაკუთრებით კარგად მუშაობენ შოფრები: შ. ნადარაშვილი, რ. სეფისკვერაძე, ი. იორდანოვი, გ. მოსეშვილი, ხ. ხალილოვი, ა. სარქისოვი და სხვები.

* * *

**სურათებზე**: ზევიდან ქვევით — სწრაფდაშვებაში ქალთა შორის გამარჯვებული ნ. მერკულოვა (მოსკოვი); ქალიშვილთა შორის გამარჯვებული ტ. პერჩატკინა (ბაშკირეთის ასსრ); ქალთა შორის ვერცხლის პრიზიორი გ. შიხოვა (მოსკოვის ოლქი).

გ. კიკვაძის ტელეფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).








ძალოსნობა

# საქართველოს 5 საუკეთესო

უმჩატესი წონა. ს. თათევოსიანი (1946 წ. დაბადებული), თბილისი, „განთიადი", 185 კგ (77,5+97,5), ი. ფეიქრიშვილი (53), თბილისი, „ბურევესტნიკი", 160 (70+90), პ. ვასილიადი (56), თბილისი, „სპარტაკი", 152,5 (67,5+85), ვ. დოლიძე (56), თბილისი, „დინამო", 147,5 (62,5+85), ს. ჯავახოვი (56), თბილისი, „სპარტაკი", 145 (62,5+82,5).

მჩატე წონა. გელა სითათაშვილი (55), თბილისი, „კოლმეურნე", 210 (90+120), ო. კარაიანიდი (57), სოხუმი, „განთიადი", 205 (90+115), ა. ქსოვრელი (55), ბათუმი, „კოლმეურნე", 195 (85+110), ნ. გოგაძე (56), თელავი, „კოლმეურნე", 170 (72,5+97,5), ს. ჯავახოვი — 170 (72,5+97,5).

ქვემსუბუქი წონა. დ. შანიძე (38), თბილისი, „განთიადი", 272,5 (120+152,5), ა. ოსანაძე (45), ბათუმი, „კოლმეურნე", 232,5 (105+127,5), ბ. პაპიძე (56), ქუთაისი, „სპარტაკი", 222,5 (95+127,5), ა. სურმანიძე (39), თბილისი, „კოლმეურნე", 222,5 (100+122,5), ლ. გაფრინდაშვილი (54), თბილისი, „განთიადი", 217,5 (95+122,5).

მსუბუქი წონა. ა. კიადიკოვი (51), თბილისი, „განთიადი", 262,5 (115+147,5), ვ. ლობჟანიძე (41), რუსთავი, „განთიადი", 255 (115+140), გ. ძასოხოვი (50), ცხინვალი, „სპარტაკი", 255 (115+140), გენადი სითათაშვილი (53), თბილისი, „ბურევესტნიკი", 240 (105+135), ლ. კამალოვი (49), თბილისი, „ლოკომოტივი", 235 (100+135).

ქვესაშუალო წონა. დ. გაბაძე (47), ქუთაისი, „განთიადი", 290 (130+160), ე. ჯანსოთელი (51), ქუთაისი, „განთიადი", 277,5 (117,5+160), ო. გალავანოვი (55), ცხინვალი, „სპარტაკი", 272,5 (122,5+150), ვ. რიბიცკი (47), თბილისი, „სპარტაკი", 260 (110+150), ზ. მაღრაძე (54), თბილისი, „სპარტაკი", 252,5 (100+152,5).

საშუალო წონა. ო. დემუროვი (41), თბილისი, „განთიადი", 327,5 (147,5+180), ნ. ნახუცრიშვილი (54), თბილისი, „სპარტაკი", 300 (130+170), რ. გომარელი (52), თბილისი, „სპარტაკი", 275 (115+160), მ. მედოევი (55), ცხინვალი, „სპარტაკი", 270 (120+150), ბ. მურადოვი (53), თბილისი, „კოლმეურნე", 267,5 (115+152,5).

### 1973 წლის შედეგების მიხედვით

ქვემძიმე წონა. თ. ძაგოევი (48), თბილისი, „კოლმეურნე", 320 (145+175), ა. ციბანი (50), თბილისი, „დინამო", 305 (135+170), ნ. ნახუცრიშვილი — 295 (127,5+167,5), ე. დვალი (54), საჩხერე, „კოლმეურნე", 295 (130+165), პ. ბატიუკი (53), სოხუმი, „განთიადი", 270 (120+150).

მძიმე წონა. შ. ლომიძე (51), რუსთავი, „დინამო", 340 (140+200), რ. ტარკილი (52), სოხუმი, „განთიადი", 330 (150+180), გ. იასუკევიჩი (47), თბილისი, „განთიადი", 310 (140+170), ო. ჟაბუნია (51), თბილისი, „ბურევესტნიკი", 290 (125+165), ნ. მუმლაძე (55), თბილისი, „ბურევესტნიკი", 287,5 (127,5+160).

ზემძიმე წონა. ა. ჯეჯელავა (40), თბილისი, „განთიადი", 355 (157,5+197,5), დ. ხიზამბარელი (46), თბილისი, „ლოკომოტივი", 310 (130+180), ნ. მუმლაძე — 290 (125+165), ა. მამედ-ზადე (56), თბილისი, „დინამო", 225 (100+125), ო. ფირანიშვილი (57), თელავი, „კოლმეურნე", 160 (70+90).

## ოქროსა და ვერცხლის სამკერდე ნიშნებზე

დამთავრდა თბილისის 1-ლი მაისის რაიონის ტექნიკუმების, პროფტექსასწავლებლებისა და სპეციალური სასწავლებლების სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა 8 სასწავლებლის 107 მოსწავლე.

ვაჟებში I ადგილი დაიკავა შ. ელიავას სახელობის ამიერკავკასიის რკინიგზის სასწავლებლის ვაჟთა ნაკრებმა. ქალთა შორის უძლიერესი იყო პოლიტექნიკური ტექნიკუმის გუნდი.

მშდ კომპლექსის ნორმატივები ოქროს სამკერდე ნიშანზე ჩააბარა 12 მოსწავლემ, ვერცხლის ნიშანზე — 22-მა.

რ. ირემაშვილი,
1-ლი მაისის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

ლელო
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფაქტების პირისპირ

## რესპუბლიკის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების სპორტული მუშაობა 1973 წელს

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა თბილისის „დინამოში", სადაც საკმარისი არ აღმოჩნდა არც წლიური შვებულება (27 დღე), არც სხვა დასვენებისა და მოგზაურობის დღეები (სულ 52 დღე). 57 შეჯიბრება, როცა საწვრთნელი დღეების რიცხვი სარეკორდოდ დიდია (230), ხოლო დასვენების დღეების რაოდენობა — სარეკორდოდ მცირე — ეს რეჟიმი გვიხსნის, თუ რატომ იყო გუნდი დაღლილი, მიუხედავად მეცადინეობათა არც ისე მაღალი ენერგოტევადობისა. ამისთვის საჭიროა რეჟიმი სხვაგვარი, უფრო დინამიკური, ხარჯვასა და აღდგენაში უფრო მეტად განპირობებული ამ ტრიადით — შეჯიბრება, წვრთნა, დასვენება. ხოლო მონოტონური მრუდი, რომელსაც არ ჰქონდა პიკური დღეები საწვრთნელ დატვირთვაში და მკვეთრად გამოხატული, საკმარისი ხანგრძლივობის დასვენების პერიოდები, ვერ ასრულებდა სათანადო როლს ფუნქციური მოქმედების სტიმულირებაში. ესე იგი, არ იყო ოპტიმალური ფეხბურთელთა გაწვრთნილობის დონის ამაღლების საკითხში.

პირიქით, ქუთაისის „ტორპედოში" (185) და გორის „დილაში" (187) აშკარად უკმარი იყო მეცადინეობათა რაოდენობა.

განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ დამატებითს მეცადინეობებზე. თუ გავითვალისწინებთ ჩვენს კლიმატურ პირობებს, რესპუბლიკის გუნდებში წლის ცხელ პერიოდში არ გვარგია ამ მეცადინეობათა ბოროტად გამოყენება. ამიტომ წლის მანძილზე 97 დამატებითი მეცადინეობა, რაც მეთოდური მითითებებითაა რეკომენდებული, ჩვენთვის მეტისმეტია. მაგრამ 2-3 დამატებითი მეცადინეობა კვირაში წლის დასაწყისში (მაისის ჩათვლით) და ერთი — ოქტომბერ-ნოემბერში, ესე იგი, დაახლოებით 50 მეცადინეობა წელიწადში, — აი, რას უნდა მივაჩვიოთ ჩვენი ფეხბურთელები. სინამდვილეში კი „დილაში" ჩატარებულია სულ 6 დამატებითი მეცადინეობა, სოხუმის „დინამოში" — 8.

ჩვენი ფეხბურთელების დაბალი შრომისუნარიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისაა, რომ მათ ეშინიათ ვარჯიშის დიდი დატვირთვისა, არ შესწევთ უნარი, რომ ეს დატვირთვა საფუძვლად დაუდონ საწვრთნელ პროცესს.

კიდევ უფრო განსაცვიფრებლად გამოიხატება დატვირთვის ეს უკმარობა საათებში. ძირითად მეცადინეობათა მოცულობა, მეთოდურ მითითებათა თანახმად, ჩვენი გუნდების კალენდრის შესაბამისად, 400-460 საათს უნდა უდრიდეს. სინამდვილეში კი „დილაში" იგი შეადგენდა 308 საათს, „მერცხალში" — 320-ს, „გურიაში" — 363-ს. ფეხბურთის ფედერაციას და სამმართველოს სრულიად მიუღებლად მიაჩნიათ ასეთი მოცულობა. თუმცა ეს მონაცემები, ცუდია თუ კარგი, სინამდვილეს მაინც შეეფერება, ფოთელებმა კი ანგარიშში ჩაწერეს, თითქოს ძირითად მეცადინეობებს 529 საათი მოანდომეს, რაც გვაძლევს, თუ მცირე დატვირთვით ჩატარებულ 40 მეცადინეობასაც ჩავთვლით, საშუალო ხანგრძლივობას 2,6 საათს. ვინ დაიჯერებს ამას?

ზოგიერთმა გუნდმა მიწერაში უფრო ფარულ ფორმას მიმართა. მაგალითად, ერთმა ცნობილმა გუნდმა მეცადინეობათა საათებში ჩათვალა, არც მეტი, არც ნაკლები, 107 საათი, ვარჯიშის შემდეგ — წყლის პროცედურები და მასაჟი. საკითხავია რა საჭიროა ასეთი თავის მოტყუება ამ ყურით მოთრეული თითქოსდა საწვრთნელი საათებით? მალულ მიწერებად უნდა ჩაითვალოს დილის ტანვარჯიშიც, როცა ზოგიერთი მწვრთნელი ანგარიშში დღეში 1 საათს გვიწერს, მიუხედავად იმისა, ორგანიზებულად, მწვრთნელის მეთვალყურეობის ქვეშ ტარდება ეს ტანვარჯიში, თუ თავად ფეხბურთელი შინ დამოუკიდებლად ვარჯიშობს, რაც ძალიან საეჭვოა. შეიძლება ყველაფერი ვივარაუდოთ. მაგრამ ანგარიშებში უნდა აისახოს მხოლოდ ის მეცადინეობები, რომლებსაც მართლა ატარებს გუნდი მწვრთნელის მეთვალყურეობის ქვეშ. ესე იგი, თუ დილის ტანვარჯიშზეა ლაპარაკი, როგორც წესი, ნაჩვენები უნდა იყოს მხოლოდ საგაზაფხულო და თამაშისწინა შეკრების საათები.

ასეა თუ ისე, წვრთნის ამოცანების გადაჭრა არ შეიძლება მხოლოდ ჯამამდე დავიყვანოთ. როგორც ცნობილია, მეტ კვალს ტოვებს ის ვარჯიში, რომელიც ზღვრულ და ზღვრულის ახლო დაძაბულობით ტარდება. ამიტომ ჩვენს განსაკუთრებულ დაინტერესებას იწვევს მეცადინეობათა ინტენსივობა და შინაარსი.

როგორ გავუწიოთ კონტროლი ანგარიშების მასალის მიხედვით ინტენსივობას? მეთოდური მითითებით რეკომენდებულია გაერთმნიშვნელიანებული საათების გამოყენება, როცა ცალკეული ვარჯიშები ან ვარჯიშთა ჯგუფები მათთვის დამახასიათებელი ინტენსივობის მიხედვით გადამრავლებულია მათთვის სპეციალურად დადგენილ კოეფიციენტებზე. ამ გზით მიღებული პირობითი საათები ჯამდება და, ფაქტიურ დროზე გაყოფილი, გვაძლევს მეცადინეობის ან მეცადინეობათა ინტენსივობის საშუალო კოეფიციენტს. რა თქმა უნდა, ამ მეთოდში ბევრი რამ არის პირობითი. მიუხედავად ამისა, იგი მაინც გვაძლევს საწვრთნელ მეცადინეობათა ინტენსივობაში ორიენტირების საშუალებას. სამწუხაროდ, ამ რეკომენდაციებით რესპუბლიკის არც ერთ გუნდს არ უსარგებლია. ხოლო მეცადინეობის ინტენსივობის დაგეგმვა და ანგარიშგება გაერთმნიშვნელიანებული საათების საშუალებით სასარგებლოცაა და საჭიროც.

იმავე დატვირთვის დინამიკის საკითხთან დაკავშირებით ჩვენს გუნდებს უნდა ვუსაყვედუროთ ფეხბურთელთა წონაზე სუსტი კონტროლის გამოც, რადგან სისტემატური აწონვა არც ერთ გუნდში არ ხდებოდა. არადა, ეს საშუალებას გვაძლევს არა მარტო თვალყური ვადევნოთ მოთამაშეთა გაწვრთნილობას და ფუნქციონალურ მდგომარეობას, არამედ ხელს გვიწყობს დატვირთვის დონის საკითხში ორიენტირებაშიც.

ფეხბურთის ფედერაცია და სამმართველო გუნდებს დაბეჯითებით სთხოვენ შემოიღონ ფეხბურთელთა აწონის ყოველთვიური უწყისები. აწონა აუცილებელია ყოველი შეჯიბრებისა თუ ძირითადი მეცადინეობის დაწყებამდე და დამთავრების შემდეგ (თუ დამატებითი მეცადინეობაც ტარდება, დილის ვარჯიშს არ ჩავთვლით. წონა უნდა დაზუსტდეს პირველი მეცადინეობის წინ და ბოლოს შემდეგ). რამდენადაც აწონის ყოველი სერიის წინ აღნიშნული უნდა იყოს თარიღი, მუშაობის ხასიათი და ხანგრძლივობა (შეჯიბრება, დიდი დატვირთვით მეცადინეობა და ა. შ.), თვის ან წლის ბოლოს ეს საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ დაკარგული და აღნიშნული წონის აბსოლუტური ჯამი, ესე იგი ყოველი ფეხბურთელის წონითი მიმოცვლა. ხოლო ეს თავის მხრივ დაგვეხმარება გუნდის ასეთი საშუალო მონაცემების დადგენაშიც და ეს შეიძლება ყველაზე მნიშვნელოვანი იყოს. ამ გზით შევიტყობთ წონაში რამდენის დაკლებას იწვევს ამა თუ იმ გუნდში ესა თუ ის ვარჯიში, ესე იგი, შესაძლებლობა მოგვეცემა ვიმსჯელოთ ამ ვარჯიშების მოცულობასა და ინტენსივობაზე.

ჩვენ გახსენეთ საწვრთნელ მეცადინეობათა შინაარსიც. მხედველობაში გვქონდა არა მეცადინეობათა მიზნობრივი მიმართულება, არამედ, თუ შეიძლება ითქვას, მათი კონკრეტული ვარჯიშებით აღჭურვა. სამწუხაროდ, შემოწმებამ გვიჩვენა, რომ საწვრთნელი მეცადინეობები უმეტესად შაბლონურად ტარდება, ვარჯიშების არსენალი ღარიბია, სათამაშო და საშეჯიბრებო ხასიათის სახეებს საკმარისი ყურადღება არ ეთმობა, თუმცა ეს უკანასკნელნი ზოგჯერ სხვებზე ბევრად უფრო ეფექტურნი არიან თავიანთი ემოციურობის გამო. ვერ შევურიგდებით იმ ფაქტსაც, რომ ზოგიერთ გუნდში ადგილი ჰქონდა მზადების „სტანდარტიზაციის" პრაქტიკას, როცა ერთი და იგივე კონსპექტების გამოყენების გამო შაბლონური მეცადინეობები პერიოდულად მეორდებოდა. ნუთუ არ შეიძლება ერთი და იგივე კონკრეტული ამოცანისთვის სხვადასხვა ვარჯიშის გამოყენება?

მეცადინეობის შინაარსთან დაკავშირებით ფედერაციას და სამმართველოს საჭიროდ მიაჩნიათ იმის აღნიშვნა, რომ აშკარად მცდარ პრინციპს იცავენ ის მწვრთნელები, რომლებიც უბურთოდ ვარჯიშს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ იმ მოსაზრებით, თითქოს ასეთი ვარჯიში ქართულ ხასიათს არ შეესაბამებოდეს. ასეც რომ იყოს, რა მნიშვნელობა აქვს ამ შემთხვევაში იმას, ვის რა უყვარს და რა არა? წვრთნის ამოცანაც ზოგჯერ სწორედ ისაა, რომ დავძლიოთ ეს „არ გვიყვარს", აქცენტი გავაკეთოთ იმაზე, რაც შეიძლება ვინმეს მაინცდამაინც არ მოსწონდეს, მაგრამ საჭირო იყოს. უბურთოდ ვარჯიშის უგულებელყოფა ძირს უთხრის ფეხბურთელთა საერთო ფიზიკურ მზადებას — ამ სამოძრაო და ფუნქციონალურ ფუნდამენტს, ურომლისოდაც შეუძლებელია მაღალი და მტკიცე სპორტული შედეგების მოპოვება. მეორეც, ასპარეზობისას ფეხბურთელი დროის მხოლოდ 5-8 პროცენტს ატარებს ბურთთან კონტაქტში. ამგვარად, უბურთოდ მოძრაობა ფეხბურთელისთვის სავსებით ბუნებრივი და აუცილებელია თამაშში. ეს უნდა განვავითაროთ. მხოლოდ ბურთით ვარჯიშის მიზნად დასახვა კი კიდევ უფრო ნოყიერ ნიადაგს ქმნის ამ ისედაც ძვალ-რბილში გამჯდარი სენის გაძლიერებისთვის.

ჩვენი პრაქტიკის სერიოზულ პრობლემებს უნდა მივაკუთვნოთ სუსტი პედაგოგიური და სამედიცინო კონტროლიც. საკმარისია ითქვას, რომ საასპარეზო პერიოდში არც ერთ გუნდს არ შეუმოწმებია ფეხბურთელთა გაწვრთნილობის დონე რეკომენდებული მეთოდური მითითებებით ან სხვა რაიმე ტესტების დახმარებით. ჩვენი მწვრთნელები სჯერდებიან მხოლოდ სუბიექტურ შთაბეჭდილებებს, ხოლო ეს ყოველთვის საიმედო კრიტერიუმი როდია. პერიოდული ტესტირება აუცილებელია. ყურადღება უნდა მიექცეს მწვრთნელის მჭიდრო კონტაქტს ექიმთან, რომელიც ვალდებულია გახდეს აქტიური მონაწილე საწვრთნელი პროცესის ორგანიზაციისა. ცნობილია, მაგალითად, რომ თბილისის „დინამოში" რვა წამყვანმა ფეხბურთელმა მიიღო ბარძაყის უკანა ზედაპირის კუნთების ტრავმა (დაჭიმვა ან გაწყვეტა). მიზეზი უმთავრესად ის იყო, რომ მზადების საწყის სტადიაში, გაზაფხულზე, განსაკუთრებით მოთელვების დროს, ნაკლები ყურადღება ექცეოდა ვარჯიშებს, რომლებიც ბარძაყის უკანა ზედაპირის ანტაგონისტი კუნთების მოდუნებას და მოქნილობას (გაწელვას) ავითარებენ. თავად გუნდის ხელმძღვანელებმა აღიარეს, რომ ამ ტრავმების მიზეზი იყო საწვრთნელ მეცადინეობებზე მოთამაშეთა ზედმეტი დაძაბულობა და დატვირთვა. მაგრამ, ვთქვათ, მწვრთნელმა ყველაფერი ვერ გაითვალისწინა და გადააჭარბა, ექიმი სად იყო?

გარდა დაწერილი ანგარიშებისა, არის დაუწერელიც — ყველაზე მნიშვნელოვანი — თამაში მინდორზე. სამწუხაროდ, ზოგიერთი მატჩის გამოკლებით (უფრო ხშირად — ქუთაისის „ტორპედოს", აგრეთვე, თბილისის „დინამოს" შეხვედრები) ჩვენი მოწინავე გუნდების თამაშმა საერთო უკმაყოფილება გამოიწვია. როგორც წესი, მათს თამაშს წინანდებურად აკლდა ენერგია, კერძოდ — უბურთოდ მოძრაობაში.

დაცვაში არ ჩანდა დამუშავებული ურთიერთმოქმედება (დაზღვევა, მომიჯნავე ზონებისთვის თვალყურის დევნება). ეგრეთ წოდებული თამაში ერთ ხაზზე ორი პარალელურად მოქმედი სტოპერით ნაკლები სათამაშო დისციპლინისა და დაცვითი მოქმედების ორგანიზებულობის დროს (როგორც თბილისის „დინამოში" ხდებოდა) დროდადრო დაცვაში დიდ ხარვეზებს იწვევდა და მეტოქეებს საშუალებას აძლევდა დაუბრკოლებლად გაეგზავნათ ბურთი დაცვის ზურგს უკან.

იმავე თბილისის „დინამოში" ნახევარდაცვას არ უყვარდა აქტიური მოქმედება დაცვაში და მეტოქის კარისადმი მუქარებშიც არც ისე აგრესიული იყო. იმას ვინ მოითხოვს, რომ ნახევარმცველები ბურთისთვის მთელ მინდორზე ერთნაირი ენერგიით იბრძოდნენ, მაგრამ, თუ ბურთს დაეუფლა მეტოქე, ისინი ვალდებული არიან სწრაფად მოიყარონ თავი თავიანთი კარის ზონაში, „გაჟღინთონ" ის, აქტიურად ჩაებან დაცვაში. დაცვითი რიგების სითხელე, გამოწვეული მცველების შორეული და უდაზღვევო რეიდებით, ხოლო კიდევ უფრო მეტად — ნახევარმცველების არყოფნით, რომლებიც მეტისმეტად ინერტულად ბრუნდებიან თავიანთი კარის ზონაში სხვისი შეტევის დროს, აი, რა უიოლებდა მეტოქეს მანევრებს დინამოელთა საჯარიმო მოედნის რაიონშიც კი. თუმცა ეს მარტო დინამოელებს როდი ეხებათ. შეიძლება ითქვას, რომ ეს ჩვენი გუნდების საერთო სენია.

რაც შეეხება თავდამსხმელებს და, საერთოდ, შემტევ მოქმედებას, აქ პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ფეხბურთელებს არ შესწევთ უნარი შეისწავლონ და გამოიყენონ კომბინაციები (თუნდაც იგივე „კედელში თამაში", რომელიც საშუალებას იძლევა მწვავედ შეიჭრა სხვის საჯარიმო მოედანზე). ხოლო, რაკი ეს დასწავლილი კომბინაციები მარაგში არა გაქვს და მარტო ზემთაგონებაზე აპირებ მოქმედების აგებას, თამაშს არ ექნება მყარი საფუძველი. დინამოელებს ისიც უნდა ვუსაყვედუროთ, რომ ისინი დოგმატიკურად იცავდნენ ორი გარემარბით თამაშის ტაქტიკას, თუმცა თავდამსხმელების შემადგენლობა მათი რიგების განლაგებაში ვარირების შესაძლებლობას იძლეოდა. ეს ნაკლი თვითონ დინამოელებმაც აღიარეს, როცა ანგარიშში ჩაწერეს: „გუნდის წარუმატებლობაში თავისი როლი ითამაშა არასათანადო ტაქტიკურმა მომზადებამაც, ცალმხრივობამ, შაბლონურობამ, იმან, რომ ვერ ვახერხებდით თამაშის მსვლელობის დროს ტაქტიკის შეცვლას".

ფეხბურთის ფედერაციამ და სამმართველომ გუნდების შარშანდელ ცუდ შედეგებზე ასე დაწვრილებით ლაპარაკი საჭიროდ მიიჩნიეს იმიტომ, რომ ეს შედეგები განპირობებულია დაშვებული შეცდომებით, რომლებიც არ უნდა გამეორდეს, იმიტომ, რომ ჩვენი კლუბების უხეირო თამაშმა საქართველოს ფეხბურთის მოყვარულთა სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია, ხოლო ამ გულისწყრომაზე პასუხი უნდა გაგვეცა და ჩვენი პოზიცია გაგვეშუქებინა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ დავა ზოგიერთ მწვრთნელსა და მაყურებლებს შორის (მაყურებლები თავიანთ უკმაყოფილებას გამოთქვამენ მრავალრიცხოვან წერილებში, ამას გარდა, სტადიონზე ქცევით, თამაშებზე დამსწრეთა რიცხვის შემცირებით), ეს უკანასკნელნი ძირითადად მართალნი იყვნენ. განა შეიძლება იმის უარყოფა, რომ თბილისის „დინამოს" შარშანდელი თამაში და შედეგები არ შეეფერება ამ გუნდის ღირსებას? განა სამართლიანი იყო გალაშქრება მაყურებლისა და პრესის მიმართ, რომლებიც თავიანთ გულისტკივილს გამოხატავდნენ? ფაქტიურად ხომ საქმე იქამდე მივიდა, რომ გუნდის ხელმძღვანელობა არსებითად მოითხოვდა კრიტიკის აკრძალვას, რადგან ვითომ ეს მოთამაშეებში იწვევდა „უარყოფით ფსიქოლოგიურ რეაქციას — მერყეობას, ნერვიულობასა და გაღიზიანებას". ეს მაშინ, როცა საჭირო იყო კოლექტივისთვის ჩაენერგათ ხალხის შეხედულებისადმი პატივისცემა და უსიამოვნო სიმართლის სწორად გაგება ესწავლებინათ.

(დასასრული იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო" № 48.

## ფეხბურთის ამბები

**მოსკოვის** „ლოკომოტივის" ფეხბურთელებმა სოფიაში პირველი ფინალური მატჩი ჩაატარეს რკინიგზელთა თასზე ადგილობრივ თანაკლუბელებთან. გამარჯვება ბულგარელებს ხვდათ წილად — 4:1.

**სსრ კავშირის** თასის ოცდათექვსმეტედფინალური მატჩი აშხაბადის „სტროიტელსა" და ნალჩიკის „სპარტაკს" შორის დამთავრდა ფრედ — 1:1.

**ერაყში** სტუმრად მყოფმა მოსკოვის ცსკა-მ ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ითამაშა ბაღდადში და დაამარცხა იქაური სამხედრო გუნდი — 3:1.

**ლესელიძეში** გაიმართა საკონტროლო შეხვედრა თბილისისა და კიევის დინამოელთა შორის. გაიმარჯვეს კიეველებმა — 1:0. გოლი 78-ე წუთზე გაიტანა ბლოხინმა. თბილისელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: გაგოშიძე, ძოძუაშვილი, ხურცილავა, ჰელიძე, ხინჩაგაშვილი, მჭედლიშვილი, მ. მაჩაიძე, გავაშელი, გუცაევი, გ. ნოდია, ყიფიანი.

ამავე გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი მოიგეს თბილისელებმა — 1:0. გოლი გაიტანა ასათიანმა.

## წიგნის თარო

# სიყვარულით გამოძერწილი სახეები

სპორტის მოყვარულებმა „ლელოს" ბიბლიოთეკის სერიით კიდევ ერთი საინტერესო წიგნი მიიღეს.

გამოვიდა ა. გოგელიას წიგნი „მუშკეტერები". როგორც სათაურიდანაც ჩანს, იგი ეძღვნება საფარიკაო ბილიკის ოსტატებს. მასში მკითხველმა არ უნდა ეძებოს ქართული ფარიკაობის ისტორია. ასეთი მიზანი ავტორს არც დაუსახავს. წიგნი ჟურნალისტის უშუალო შთაბეჭდილებებზეა აგებული და მასში, რა თქმა უნდა, ბევრია ისეთი დაკვირვება თუ მიგნება, რაც მხოლოდ ავტორის დამსახურებაა. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან ავტორი თვითონ იყო ერთ-ერთი იმ მუშკეტერთაგანი, რომელიც მრავალი წლის მანძილზე საფარიკაო ბილიკზე შეხვედრია ბევრ გამოჩენილ სპორტსმენს.

წიგნში ცნობილ ქართველ მოფარიკავეთა — ჯ. გიორგაძის, ნ. ასათიანის, გ. კოსტავას, ი. ოსიპოვის, რ. ცირეკიძის, მ. სახვაძის, გ. ლორთქიფანიძის, გ. ანდრიაძის, მ. ადეიშვილის და სხვათა გვერდით შეხვდებით მწვრთნელების — ლ. გოლთვნიას, ხ. საყვარელიძის, ა. ფიოდოროვის, ო. დიდებულიძის, ტ. მესხის, ა. მეიფარიანის, შ. ღარასელიას, რ. გოშაძისა და სხვათა სიყვარულით გამოძერწილ სახეებს.

„ის იყო უბრალო, გულმართალი ბიჭი, უყვარდა თბილისი, რუსთაველის




პროსპექტი, ომახიანი მრავალჟამიერი, ზაფხულის მშვიდი ზღვა, საკონცერტო დარბაზები, მთებში გაჭრილი საცალფეხო ბილიკები, რომლებიც საფარიკაო ასპარეზს აგონებდა... მეტოქისთვის მიწოდებული იარაღი, საყვარელ წიგნში ამოცნობილი ჭეშმარიტება, დიდი ხელოვანის ნამუშევრის შეგრძნება... ყოველივე ეს მისთვის თუნდაც მცირე, მაგრამ დაუსრულებელი გამარჯვებები იყო ხანმოკლე ცხოვრების გზაზე. ეს გზა მოულოდნელად შეწყდა..." ეს სტრიქონები ეძღვნება უდროოდ დაღუპულ მალხაზ ადეიშვილს. „ყოველთვის, როცა ფარიკაობის დარბაზში შევდივარ და ესპადრონის გაბმული წკრიალი მესმის, თვალწინ მიდგება მალხაზ ადეიშვილი, მაგონდება ბილიკზე გარდახდილი მისი ბრძოლები, მაგონდება და სურვილი მიჩნდება სხვასაც ვუამბო". ეს სტრიქონები ნათლად გვიხატავენ ჭაბუკის პორტრეტს.

ერთი სიტყვით, მკითხველი ბევრ სასიამოვნო წუთს განიცდის ამ პატარა წიგნის წაკითხვით.

ა. ცეხანელი.

# „კოლმეურნის" ჩემპიონები

ცხინვალის ბავშვთა სპორტული სკოლის დარბაზში ორ დღეს მიმდინარეობდა „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. ჩემპიონის ტიტულისთვის ერთმანეთს ეჯიბრებოდა 20 გუნდის 207 მოჭიდავე. ასპარეზობა ორგანიზებულად ჩატარდა (მთავარი მსაჯი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ი. ცხოვრებოვი).

გუნდური პირველობისთვის ბრძოლა კასპისა და ადგილობრივ მოჭიდავეთა შორის გაიმართა. ცხინვალელებმა „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს თასი და ჩემპიონობა მოიპოვეს (66 ქულა). II ადგილი 51 ქულით დაიკავა კასპის კოლექტივმა, III ადგილი ხვდა საგარეჯოს გუნდს — 43 ქულა.

წონით კატეგორიებში გაიმარჯვეს: გ. კაციაშვილმა (კასპი), მ. ანთაძემ (აჭარა), გ. მაისურაძემ (ონი), ბ. კოტორაშვილმა (გარდაბანი), ბ. ჩოჩიევმა (სამხრეთ ოსეთი), თ. გაბოძემ (კასპი), თ. ბერიძემ (აჭარა), მურად და ჯუმბერ თედეევებმა (ორივე — სამხრეთ ოსეთი), ვ. მაღრაძემ (ორჯონიკიძე) და ნ. ნუგზარიშვილმა (კასპი).

ვ. მელქოევი.
(ჩვენი კორ.).

ცხინვალი.



მიუნჰენში, ფიგურულ მოციგურავეთა მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებულ ი. როდნინასა და ა. ზაიცევს მხარი აუბეს სპორტულ ცეკვებში ევროპის ჩემპიონებმა ლ. პახომოვამ და ა. გორშკოვმა, რომლებიც საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ. საბჭოთა „დუეტის" უპირატესობა აშკარა იყო. საკმარისია ითქვას, რომ 18 შეფასებიდან პახომოვამ და გორშკოვმა ცხრაჯერ უმაღლესი — 6 ქულა დაიმსახურეს, ვერცხლის ჯილდოები წილად ხვდათ ინგლისელებს გრინსა და უოტსს, ხოლო III ადგილზე გავიდნენ საბჭოთა ფიგურისტები ნ. ლინიჩუკი და გ. კარპონოსოვი. ვაჟთა ინდივიდუალურ ციგურაობაში პირველად გახდა მსოფლიო ჩემპიონი 18 წლის სპორტსმენი ი. ჰოფმანი (გდრ). II ადგილზე გავიდა საბჭოთა სპორტსმენი ს. ვოლკოვი. III ადგილზე კანადელი ტ. კრენსტონი.

• • •

სურათზე: მსოფლიო ჩემპიონები ი. როდნინა და ა. ზაიცევი ასპარეზობისას.




● ბრიუსელი, 9 მარტი. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის დასკვნით ეტაპზე ვოროშილოვგრადის „ზარიას" ფრენბურთელებმა პირველი მატჩი მოუგეს იტალიის „ლიბიამს" — 3:1. ამავე გათამაშებაში რიგის „რადიოტექნიკამ" დაამარცხა პოლონეთის „რესოვია" — 3:0.

## ი. ვოლკოვის ოქროს მედალი

ლენინაბადი, 9 მარტი. 100 ველოსიპედისტი მონაწილეობდა სსრ კავშირის ზამთრის II ჩემპიონატის 6-დღიან ჯგუფურ რბოლაში, რომელიც ადგილობრივ ტრეკზე მიმდინარეობს. გამარჯვება წილად ხვდა მოსკოვის არმიელს — ა. ხტარკოვს.

ამავე ტრეკზე, რომლის სიგრძეა 333,3 მ, სპრინტერულ რბოლაში პირველი ადგილი მოიპოვა ტულელმა ვ. კოპილოვმა, რომელმაც დისტანციის ბოლო 200 მეტრის გავლას მოანდომა 12,1 წამი.

შეჯიბრება გიტში დამთავრდა თბილისელი ველოსიპედისტის იგორ ვოლკოვის ბრწყინვალე გამარჯვებით. დისტანცია მან განვლო 20,5 წამში და მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი.




## უკეთეს მდგომარეობაში

„ლელოს" კორესპონდენტი ბელგრადში ტელეფონით დაუკავშირდა მსოფლიოს და სსრ კავშირის ჩემპიონს ნ. გაფრინდაშვილს და სთხოვა გადმოეცა იუგოსლავიის დედაქალაქში მიმდინარე ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის IV ტურის შედეგები.

— ამ ტურში მე მასპინძელთა წარმომადგენელ მარკოვიჩთან ვთამაშობდი. პარტია გადავდე პოზიციაში, სადაც ზედმეტი პაიკი და უკეთესი მდგომარეობა მაქვს.

დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: პოლონელმა რაძიკოვსკამ სძლია იუგოსლაველ სებრიჩს და 8,5 ქულით შეჯიბრების ლიდერი გახდა. ყაიმით დამთავრდა პიხაილიჩ (იუგოსლავია) — ვერეცის (უნგრეთი), მედიანიკოვა — ვასნეცკის (გფრ) და კ. იოვანოვიჩ — შტადლერის (ორივე—იუგოსლავია) შეხვედრები. გადაიდო ვოკრუალოვა (ჩეხოსლოვაკია) — ლაზარევიჩისა და კალხბრენერ — ბოჟკოვიჩის (სამივე — იუგოსლავია) პარტიები.



### ლენინგრადსა და ოდესაში

მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მატჩების დრო და ადგილი დადგინდა: მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ბ. სპასკი და დიდოსტატი ა. კარპოვი მატჩს დაიწყებენ ლენინგრადში 10 აპრილს, ხოლო მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ტ. პეტროსიანი და დიდოსტატი ვ. კორჩნოი — ოდესაში 12 აპრილს.

ნახევარფინალურ მატჩებში გაიმართება 20-20 პარტია. გამარჯვებულად ჩაითვლება ის, ვინც ადრე მოიგებს 4 პარტიას. თუ ეს ვერც ერთმა მეტოქემ ვერ შეძლო, მაშინ გამარჯვებულად ჩაითვლება ის, ვინც ანგარიშში დაწინაურდება. თუ მატჩის დამთავრებისას ანგარიში 10:10 იქნება, ფინალისტს დაასახელებს წილისყრა.

### ქალებიც დაწყვილდნენ

მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტებიც დაწყვილდნენ. ნახევარფინალში თბილისელი ნ. ალექსანდრიას მეტოქე იქნება მოსკოველი ა. კუშნირი. მეორე ნახევარფინალში პიატიგორსკელი ვ. კოზლოვსკაია ლენინგრადელ ი. ლევიტინას შეხვდება. ნახევარფინალური მატჩების დროსა და ადგილს სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაცია უახლოეს ხანში დაადგენს.

### 15 წლის ჩემპიონი

გდრ-ის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატში სენსაციურ წარმატებას მიაღწია 15 წლის გერელმა მოსწავლემ პ. ფოისტელმა, რომელმაც 13 შესაძლებლიდან 10 ქულა მოაგროვა. ნიჭიერმა გოგონამ ერთი წლის მანძილზე გაიმარჯვა გდრ-ის მოსწავლეთა, ახალგაზრდათა და ბოლოს — უფროსთა პირველობაში. შეჯიბრების შემდეგ გოგონამ განაცხადა: იდეალად მიმაჩნია მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ტ. პეტროსიანი, რომლის სტილი ჩემთვის ახლობელია.

ვაჟთა შორის ჩემპიონი გახდა 20 წლის ლაიფციგელი საერთაშორისო ოსტატი რ. კნააკი, რომელმაც 19 შესაძლებლიდან 14,5 ქულა დააგროვა. მან ჩამოიტოვა ცნობილი მოჭადრაკეები: ულმანი, მალიხი და მიულერი.

# მატერიალური ზარალის მიუხედავად

თბილისი. სპორტის სასახლე. 7 მარტი.

„დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი) 73:82 (35:39).

„დინამო": ჩიხლაძე (17), ბიჭიაშვილი (14), მ. ქორქია (12), ძიძიგური (9), ქარაბაკი (9), ჯგერენაია (8), ჩხიკვაძე (2), ნარიმანიძე (2).

„სპარტაკი": ბელოვი (40), არზამასკოვი (14), პავლოვი (11), ივანოვი (6), კუზნეცოვი (6), ბოლშაკოვი (2), მოკეევი (2), შტუკინი (1), ფედოროვი.

მსაჯები: ო. კამიშევი, ა. ჟოლენძი (ორივე — მოსკოვი).

დუბლიორები — 74:97 (38:49).

ათიოდე დღის წინათ თბილისის „დინამოში" საგანგებო შემთხვევა მოხდა: სერიოზულად დაშავდნენ და შემადგენლობას გამოაკლდნენ ბოლქვაძე და პულავსკი. რამდენი დრო დასჭირდება დაზარალებულთა მწყობრში ჩადგომას — ძნელი სათქმელია, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ჩემპიონატს „დინამო" მათს გარეშე დაამთავრებს.

ამ საბედისწერო შემთხვევის მიზეზით ჩვენი გუნდი პირველობის ფინიშს დიდი მატერიალური ზარალით ხვდება. უკვე კარგა ხანია, რაც ტრავმის გამო დინამოელთა რიგებში არ თამაშობს საკანდელიძე. ახლა კიდევ ახალი დანაკლისი — ბოლქვაძე და პულავსკი. ძირითადი შემადგენლობის სამი წევრი, თანაც სამივე საკვანძო მოთამაშე — ეს თითქმის მთელი გუნდია, მით უმეტეს „დინამოსთვის", რომელსაც, როგორც ვიცით, რიგიანი რეზერვი არც ჰყავს.

ლენინგრადის „სპარტაკთან" მატჩის შედეგზე ორი აზრი არ არსებობდა. სტუმრებს უნდა გაემარჯვათ, თანაც იოლად. გუნდში, სადაც თამაშობს სამი უმაღლესი კლასის ცენტრალური თავდამსხმელი (ა. ბელოვი, პავლოვი, ივანოვი), სადაც მოთამაშეთა ყოველი მოქმედება მათემატიკური სიზუსტითაა გაანგარიშებული სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელის ვ. კონდრაშინის სამუშაო ლაბორატორიაში და სადაც ყოველი რგოლის მოქმედება ორგანულად ერწყმის თამაშის საერთო ნახაზს, ასე ნაუცბათევად სისუსტეების პოვნა, რა თქმა უნდა, გაჭირდებოდა. ექსპრომტად მეტოქეს შეიძლება რაიმე ტაქტიკური ხასიათის სიურპრიზი შესთავაზო, მაგრამ გუნდის ხელწერას, ძვალსა და რბილში გამჯდარ თამაშს ვერ შეცვლი.

მაგრამ არის ერთი ნიუანსი, რომელსაც დაკვირვებული მწვრთნელი მუდამ აქცევს ყურადღებას. ეს ნიუანსი ფსიქოლოგიური ხასიათისაა და შემდეგში მდგომარეობს: რაც უფრო კრიტიკულ მდგომარეობაშია გუნდი, რაც უფრო განწირული ჩანს მისი მდგომარეობა, მით უფრო მეტი იმედია, რომ იგი ბასრ კლანჭებს გამოაჩენს. კონდრაშინი გუმანით გრძნობდა თბილისელთა გამოუვალ მდგომარეობას და თავის მოთამაშეებს უაღრესი ყურადღებისკენ და სიფხიზლისკენ მოუწოდებდა.

გამოცდილი მწვრთნელის ვარაუდი გამართლდა და გუნდი წინასწარ რომ არ ყოფილიყო შემზადებული სიძნელეთა დასაძლევად, ამ ნათელ და გარეგნულად მარტივ სიტუაციაში ქულასაც დაკარგავდა.

საკანდელიძის საკითხი „დინამოში" მეტნაკლებად უმტკივნეულოდ გადაწყდა. უფროსი მეგობრის როლი ითავა ჩიხლაძემ და კარგადაც გაართვა თავი მოვალეობას. ცენტრში კი მთელი სიმძიმის გადატანა მოუხდა ძიძიგურს, რომელიც ბოლო ტრავმის შემდეგ ერთგვარად მაინც შებოჭილია. მაგრამ ესეც რომ არა, განა შეიძლება ა. ბელოვისა და პავლოვის წინააღმდეგ ბრძოლა ასეთი უკმარი რესურსებით?

ასეა თუ ისე, თამაში თბილისელებმა აქტიურად დაიწყეს. იყო მომენტები, როცა ისინი ტოლს არ უდებდნენ მეტოქეებს მაღალი ბურთისთვის ბრძოლაში, იქ, სადაც საბოლოოდ უნდა გამოკვეთილიყო „სპარტაკის" უპირატესობა. ამ სიტუაციებში განსაკუთრებით აქტიური იყო მ. ქორქია, მაგრამ ლენინგრადელთა მასირებული დაწოლის უკუგდება მაინც ვერ მოხერხდა.

სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ქულათა ნახევარი თავის გუნდს ცენტრალურმა თავდამსხმელმა ა. ბელოვმა მოუტანა. ჩვენ ერთი წუთითაც არ ვსაყვედურობთ არც ძიძიგურსა და არც მის პარტნიორებს იმის გამო, რომ ვერ მიაგნეს ა. ბელოვის ნეიტრალიზაციის ეფექტურ საშუალებას. ეს საერთოდ ძნელი საქმეა, მით უმეტეს, როცა ძალები აგრერიგად დაქსაქსულია. ბელოვმა, როგორც ყოველთვის, თავისი ვალი წმინდად მოიხადა გუნდის წინაშე.

და მაინც, 30 წუთის მანძილზე თბილისელებმა მედგრად გადაიტანეს ეს უთანაბრო ბრძოლა და ბევრი უსიამოვნება განაცდევინეს კონდრაშინს. მწვრთნელი მხოლოდ მაშინ დამშვიდდა, როცა თბილისელთა ისედაც შესუსტებულმა შემადგენლობამ კიდევ რამდენიმე დანაკლისი განიცადა.

იმ დღეს სპორტის სასახლე უსიამოვნო გრძნობით არ დაგვიტოვებია: „დინამომ" ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცა, რომ გაჭირვების ჟამს შესწევს ძალთა მობილიზების უნარი.

ნ. გუგუშვილი.



### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 9 მარტისთვის

| | თ. | მ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 20 | 19 | 1791—1547 | 19 |
| „სპარტაკი" | 20 | 16 | 1529—1346 | 16 |
| „სტროიტ." | 20 | 12 | 1714—1627 | 12 |
| „კალევი" | 20 | 11 | 1617—1547 | 11 |
| „დინ." (მ.) | 19 | 10 | 1528—1497 | 10 |
| „დინ." (თბ.) | 19 | 8 | 1454—1494 | 8 |
| „ჟალგირისი" | 19 | 6 | 1476—1532 | 6 |
| რტი | 19 | 5 | 1330—1568 | 5 |
| ასკ (რიგა) | 18 | 5 | 1381—1526 | 5 |
| ასკ (კიევი) | 20 | 5 | 1509—1645 | 5 |

# ელვისებური ტურნირი — ქალებისთვის

ფიზიკური კულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის თაოსნობით გუშინწინ ჭადრაკის სასახლეში გაიმართა ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ელვისებური ტურნირი ჭადრაკში.

ტურნირის საზეიმო გახსნას ესწრებოდნენ სპორტკომიტეტის წარმომადგენლები ს. ჯაიანი, დ. კაპცოვი, გ. გაჩეჩილაძე.

გ. გაჩეჩილაძემ დამსწრე ქალებს მიულოცა 8 მარტის დღესასწაული, უსურვა მათ ბედნიერება, ჯანმრთელობა და წარმატებანი სპორტულ სარბიელზე. შემდეგ საჭადრაკო დაფებს მიუჯდა 16 მოჭადრაკე ქალი — 11 ნახევარფინალში გამარჯვებულნი: ოსტატობის კანდიდატი ლ. კოროშინაძე, პირველთანრიგოსანი ე. ბაშინურიძე, ნ. ბაღაშვილი, რ. გეგიძე, ნ. გურიელი, ნ. იმნაძე, ნ. იოსელიანი, მ. კალანდაძე, ნ. მელაშვილი, ლ. თანდაშვილი, ლ. ქვარცხავა, აგრეთვე, პერსონალურად მიწვეულნი: საერთაშორისო ოსტატი ა. ჩაიკოვსკაია, ოსტატები ც. კობაიძე, თ. ხუგაშვილი, მ. ჩიბურდანიძე და პირველთანრიგოსანი ლ. წეროძე.

ბრძოლა თავიდანვე მეტად დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. ამას ისიც მოწმობს, რომ ფინიშთან 13,5-13,5 ქულით ერთდროულად მივიდა ჩვენი რესპუბლიკის ორი სახელოვანი ოსტატი გოგონა — თ. ხუგაშვილი და მ. ჩიბურდანიძე. პირველი ადგილის ბედი გადაწყვიტა მათ შორის ჩატარებულმა მატჩმა, რომელიც თ. ხუგაშვილის გამარჯვებით (2:1) დამთავრდა. 11 ქულით III ადგილი წილად ხვდა ოსტატ ც. კობაიძეს. 9,5-9,5 ქულით IV-V ადგილები გაიყვეს საერთაშორისო სპორტის ოსტატმა ა. ჩაიკოვსკაიამ და პირველთანრიგოსანმა ნ. გურიელმა.

დასასრულს გ. გაჩეჩილაძემ რესპუბლიკური კომიტეტის საჩუქრები გადასცა გამარჯვებულ მოჭადრაკეებს. გ. ზოზიაშვილმა წაიკითხა 8 მარტისა და გამარჯვებული მოჭადრაკე ქალებისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები.

ეს საინტერესო ღონისძიება ტრადიციად უნდა ვაქციოთ.

რ. თავარიანი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

# ახალგაზრდები — მოწოდების სიმაღლეზე

ამას წინათ ლვოვში ჩატარდა „დინამოს" საკავშირო პირადგუნდური პირველობა სამბოში ახალგაზრდებს შორის.

ასპარეზობაში საქართველოს გუნდმა II ადგილი დაიკავა. ჩემპიონები გახდნენ: ო. ყურაშვილი და ვ. მერკვილაძე. II ადგილზე გავიდნენ — რ. არქანია და რ. მორჩილაძე, III — ჯ. ჩოფურიშვილი.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04498